<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.Matsne.gov.ge, 24.02.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010170000.05.001.017337) 23^1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. კანონმდებლობით დადგენილი წესით დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ან სათანადო ფულადი დახმარების თაობაზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდგომ საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე/ფულადი დახმარების გაცემამდე ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში დევნილი ოჯახის საცხოვრებელი ფართით ან ფულადი დახმარებით უზრუნველყოფა განხორციელდება გარდაცვალებამდე გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დევნილი ოჯახის რიცხოვნობის გათვალისწინებით. ეს წესი არ ვრცელდება გარდაცვლილი ერთსულიანი დევნილი ოჯახის წევრის მემკვიდრეებზე.“.

მუხლი 2. ამ კანონის პირველი მუხლის მოქმედება ვრცელდება, მის გამოქვეყნებამდე კანონმდებლობით დადგენილი წესით დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ან სათანადო ფულადი დახმარების თაობაზე გამოცემულ და აღუსრულებელ შესაბამის სამართლებრივ აქტებზე.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*